

6984

საქართველოს
გაზეთთა
კავშირი
1870

საქალაქი



საქართველოს ეკონომიკური
მეცნიერებათა ინსტიტუტი

თბილისი № 3. 1917 წ.

მუსეუმი



წელიწადი: III-თესიდასაძე

№ 3.

თვეგევალი, 1917 წ.



2A.
8185-7



ბედნიერი დედა-შვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

- I—ბედნიერი დედა-შვილი, —ქანდაკება... .. 1
- II—ბედნიერი ვარიკელა, —ლეჟი ბაბილინასი... .. 3
- III—კატა, ძილი, მგელი და ცხვარი, —ი. შქედლიშვილისა... .. 4
- IV—ხალხური არაკი, —გალექსილი სავლე აბულაძის შიერ... .. 7
- V—მალალი, მსხვილი და თვალ-ჯადოიანი, ჩეხური ზღაპარი, —თარ-
გმანი ლეო ქიაჩელიისა 18
- VI—შავი კაცი, —ვაგნერისა თარგმანი დ. ყიფიანისა 22
- VII—გასართობი:— შირადა, რებუსი და ახსნა 24



ბედნიერი ფარიკელა

ჰ, რა უჭირს ჩვენს ფარიკოს—
ბედის ჩარსი უტრიალებს,
უველას უვეარს, ეველას, ეველას:
დიდს, ჰატარას, ვაჟებს, ქალებს!


ეჰ, რა უჭირს ჩვენს ფარიკოს,
სწორე უნდა გითხრათ კაცმა:
მაძამ ზდილობა ასწავლა,
დედამ კიდევ სუფთად ჩაცმა.

ეჰ, რა უჭირს ჩვენს ფარიკოს,
ზღაპარ ლექსით ართობს იებო:
რა ბედშია ფარიკელა,
ვერ უეურებთ მეზობლებო?!

გამოცანას იტუვის იმდენს,
უსვად, ბლომად, გუნდა-გუნდა
ასეთია ფარიკელა,
გამოსცადოს ვინაც უნდა!



— ს. ბერიძის.





კატა, ძაღლი, შველი და ცხვარი.



კატა ჩიტს ეპარებოდა. მიწაზე გართსებული, მძიმე-მძიმედ მიცოცავდა და კუდს ოდნავ ასავსავებდა. უცბად თვალი მოჰკრა საცრისფერმა ძაღლმა, გამოვიდა საათონიდან და უნდა დასტაკებოდა კატას, მაგრამ მან მოასწრო და ხელად იქვე მდგომ მსხლის კენწეროს მოექცა. ზირი ქვევითა ჰქონდა და დაშვიდებულმა დაუწერა ურუბა ძაღლს, რომელიც მსხლის ძირში იყო ჩადუცქული და შეჰუურებდა კატას. ორივეს მოსწუინდათ ერთმანეთის ურუბა. კატამ მოიკრიფა ძალ-ღონე და გაუბედა ძაღლს:

— უურძავ! აბა უური დამიგდე, რა უნდა გითხრა!

— აბა ერთი რას მიბძანებთ!

— კი არ გიბძანებ, მშურად შინდა გამოგვლანაზარაკო, შეგობაზრო!

„შეგობაზრო“, — ეწეინა უურძას.

— შეგობაზრო, — განაგრძო კატამ: — განა რა დამიშავებია შენთვის, რომ სულ ტუეილ-უბრალოდა მძტრობ? აბა ერთი ჩაუფიქრდი: ენა წავისდინე, თივა დაგიწვი, თუ ჯამში ჩადიდგი ფეხი? ერთი დაუფიქრდი, რა დამიშავებია შენთვის?

უურძა მართლა დაუფიქრდა და კვრათფერი წინააღმდეგი საბუთი ვერ ეპოვა.

— არა, მართალს კი ამბობ, კარგა რომ ჩაუფიქრდეს ძალ-

ღის კონება შენს ნათქვამს,—უთხრა ძაღლმა და თანაც შესძახა:—აბა აქ ჩამო, ერთი კარვა მოვიღებშენაკოთ.



კატა ჩამოვიდა.

—აბა ვაძიგონე,—უთხრა კატამ,—მეც ოთხი ფეხი მაქვს, შენც. თითქმის არაფრითაც არ განვსხვავდებით ჩვენ ერთმანეთში—მშები ვართ. ან რა ძალა ვაძგა,—განაგრძო კატამ,—რო მთელი დამე დგესარ სოღმე და განუწვევტლად ჰლაფლა-

ვებ. მერე ვის უყუფ? ძკელს? აბა, ერთხელ შესუდე, თუ ძკელ-
ლი სწორედ ისეთივე ძაღლი არ იეოს, როგორც შენ. ერთი
პითხარი, რით განირჩევა შენში ძკელი? იმითა, რომ ის იძა-
სა სტაცებს შენს ჰატრონს, რასაც შენ არასოდეს არ გა-
ღირსებს სოღმე ჰატრონი! ბედოვლათი ხარ და თვალ-დაძდგა-
რი. ანა და კანა არ შეიძლება წახვიდე, მოელაზარავო ძკელ-
სა,—განა ის არ შეისმენს შენ სიტუვებს? აი, თუ გინდა შე
წავალ ტუეში, მოველაზარავები ძკელს; შევიკრიბნეთ ერთად
და ვიბაასოთ ჰატროსნურად.



წავიდნენ ტუეში.

კატა დაწინაურდა.

ძაღლი მძიმე-მძიმედ მიდიოდა.

ამ დროს თვალი მოჭკრა ცხვარმა.

—სად მიხვალ, ძაღლო?—უთხრა მან.

— ტეეში!— მიუგო ძაღლმა.

— რათა?

— უნდა მკელს მოველაპარაკოთ...

— ჰოო, მეცა მაქვს მოსალაპარაკებელი, — გააწვეეტინა ცხვარმა: — ცანა რას უშავებ მკელსა, რომ მოსვენებას არ მამლეეს: მისსას არაფერსა ვჭამ, არაფერსა ვსვამ, და ტეაყსაც არა ვთხოვ, რომ ტანსე ჩავიცვა.

— ჰოო, აი ჩვენც სწორედ მაგასე გვინდა მოველაპარაკოთ. კატა წინ გავესაყენე. უნდა დავმეგობრდეთ, — ერთმანეთს ხელწერილი მივყეთ, რომ აღარაფერს დაუშავებთ, რომ დღეის იქით ვიცხოვრებთ ძმურად, მეგობრულად და კასაყოფი აღარაფერი გვექნება, რადგანაც ერთმანეთსა ვკვებართ და შეგვიძლია ისე ვიცხოვროთ, როგორც ერთი დედის შვილებმა.

ცხვარს მოეწონა და უკან გაჭევა ძაღლს.

შევიდნენ დაბურულ ტეეში. კრილოდა. ცხვარს ესიაძოვნა. შორს კახედა და დაინახა მშვენბერი, ხავერდივით მწვანე ველი. ფიქრობდა, რომ ძაღე ის მკელის ამხანაგი იქნება და ამ უსაზღვრო, ნოეიერი ბაღასით სავსე მთებში თავისუფლად ინავარდებს. თითქმის ოცნებაში კაიღმა კიდევ სიამოვნებისაგან და იკრძხო ბედნიერება.

ძაღლი არაფერსა ფიქრობდა. ისე თავ-ჩაღუნული მიდიოდა და ფიქრები, სადაც იწებოდნენ, იქვე თავდებოდნენ: ბოკლე იყო ვეელაფერი მის თავში.

კატა ავიდა ხეზე და დაუწუო ლოდინი, მკელი როდის გამოივლიდა; თან ფიქრობდა: როცა ძაღლი და მკელი შერიგდებოდნენ, ის თავისუფლად ინავარდებდა ტეეში და ერთ თავგასაც არ გაუშვებდა ჩაუქნატუნებელს. „მერე თსილობის თვეში

რა მას იცის თავი!“ ამბობდა კატა: „სწორედ მაშინ გამოვ-
 ეგები ჩვენს ურმას“.

ამ დროს დაინახა მკელი.

— მკელო!— დაუძახა კატამ.

მკელმა შეჭხედა და გაკვირვებით ჰკითხა.

— აქ ვინ მოგიუხანა, ციცო?

— მე თვითონ მოველ, მაგრამ რო იცოდე, რა კაი საქმე
 მოგიხერხე მე შეს, ერთი კარგა დამატრობდი თავგების სის-
 ხლით.

— რა საქმე?

— რა და ახლა აქ მოვა ძაღლი, რომელსაც შენთან შე-
 რიგება უნდა. მართლაცა და— აბა რა გაქვთ გასაუოფი, რომ
 სულ ერთმანეთის მტრობაში ამოგდით სული. კაცმა რო შე-
 მოგხედოთ, იტყვის, ერთი დედის შვილები არიანო, ისე ჰგვე-
 ხართ ერთმანეთს.

მკელი დაფიქრდა. მოეწონა. აქ, როგორც ვატუობ, ჩემი
 სარფა არისო.

ამ დროს მოვიდა კიდევ ძაღლი და კატას გაუკვირდა;
 თან გაეხარდა კიდევცა, რომ მას ცხვარიც მოჰყვა უკან.

— აი, მოდიან კიდევც— სთქვა კატამა და უჩვენა ძაღლი,
 რომელსაც უკან ცხვარი მისდევდა.

მკელმა უღვაშები გაიწვორა, კუდი ცოტა შევეით ასწია,
 რომ ძაღლს მიმზგავსებოდა და უკანა ფეხებსე დადგა სალა-
 მის ნიძნად.

ძაღლიც მიესალმა. ხოლო ცხვარი ურუბ-ჩამოშვებული
 დადგა.


კატას კული მოეცა და სიდან ჩამოსტა. მაგრამ ცოტა
 ვერ მოუხდა კარგათა და უკანა ფეხებით ძაღლს დაეცა ცხვირ-

ზე. ძაღლსაც უეცრივ დაავიწუდა ვეველაფერი, წინანდელმა ბრაზმა მოუარბ და გამოეკიდა კატას. კატა ისევ ხეზე აჯარდა. ძაღლი ძირიდან შეჭეურებდა და იძახდა:

— დამაცა, შე ლაწირაკო, შენაო!

შგელი თავის ბუნებას ველარ გადავიდა და დაეცა ცხვარს, რომელიც ხელად გადასახსნლა და მხოლოდ რქებილ დასტოვა.

ა. შგელიშვილი





ხალხური არაპი

რთ კაცს კარგი ძროსა ჰქუაუდა:
საემბო რმეს იძლეოდა;
ზოგი უველად ამოჰქუაუდა,
ზოგიც ისე ილეოდა.

ძოინდობა ერთსელ კაცმა—
მეგობრები მოეწვია,
კარგად გამსხპინძლებოდა,
პურადობა გაეწია.

გადასწუვიტა ორ კვირეში
იმას ძროსა არ ეწველა,
რომ ერთბაშად გამოერთვა
ნაგროვები შერე უველნ.


მოუვიდნენ მეგობრები,
გაუსარეს ესო, გული.

და იმანაც მიაგენა
 ძროხას ქვაბი ჩინებული.

ბევრი უსვა ვიქანს სელი:
 დაუხილა, გაუსველა,
 მაგრამ საძედა ძროხამ
 არაფერი მოიწველა.

თურმე მოსაწველი მილი
 დაძრობის გზას დასდგომოდა,
 და, დროებით მიტოვებულს,
 მივ რძე აღარ ჩასდგომოდა.

საფლე აბულაძე





შალალი, მსხვილი და ივალ-ყვადოიანი



(ჩეხური ზღაპარი)

სოვრობდა ქვეყნად ერთი მეფის ქალი, რომელიც აუწერელი სილამაზით იყო შეძკული. მეფის ქალის ქება ესმა უცხო ქვეყნის ბატონიშვილს და მისი ცოლად შერთვა მოისურვა. მაგრამ შეიტყო, რომ ქალი მზაკვარ-ღვეის ტყვე იყო და მიუვალ რკინის ციხეში იძვოფებოდა. თურმე ვინაც კი მოუწადინებია მისი განთავისუფლება, ვკვლა დაღუპულა. ვინც შესულა მზაკვარ-ღვეის ციხეში, უკან არ დაბრუნებულა. მაგრამ ბატონიშვილი გულადი იყო და ამ გარემოებას არ შეუძინდა:—გამოეწყო და გაუდგა გზას. უღრან ტყით მოუხდა სიარული. დიდ ხანს იარა და დაიბნა ტყეში. ბევრი იხეტიალა, მაგრამ გზა ვერ გაიკვლია. შეწუხებული იყო და არ იცოდა—რა ექნა, როცა მოულოდნელად ხმა მოესმა:

—ჭეი, შეჩერდი!.. მომიცადეო!

ბატონიშვილი შედგა, მოისჯდა უკან, ხანა—ვიდაცა შალალი კაცი მოიქაროდა მისკენ.

— მომიცადე, მომიცადე!— უძახოდა უცნობი.— მიხსნე, კა-
მოგადგებიო!

— ვინ ხარ?— რის გაკეთება შეკომლიაო?— ჰკითხა უცნობს
ბატონიშვილმა.

— შე შევია ძალალი... შემძლია ძალიან ძალა ავიძარ-
თო... აი, შესხდე— იმ სის წვერზე ჩიტის ბუდეა! შემძლია
სესე არ ავიდე, ისე ჩამოვილო ივით!.. მიხსნე!.. იცოდე-
გამოგადგებიო!— და ამ სიტუებით გაიძართა ძალალი. ისე
ამაღლდა, აიხიდა, რომ თავისუფლად მისწვდა სის წვერს,
ჩამოილო ბუდე და ბატონიშვილს მიართვა.

— აი, ჩემი შეგობარიც ეგერ არის!.. მას მსხვილი ჰქვია.
ისიც იხსნე, — გამოგადგება! — კვლავ მიძართა ძალაღმა ბატონ-
იშვილს.

ამ დროს მათ ერთი დაბალი კაცი მიუხსლოვდა. ეს
დაბალი იყო, მაგრამ ისე მსხვილი, რომ წარმოგვანაც მნე-
ლია.

— ვინ ხარ და რის გაკეთება შეკომლია?— ჰკითხა მას ბა-
ტონიშვილმა.

— შე შევია მსხვილი, და შემძლია იმდენი გაიბერო,
რამდენიც მინდაო!— უძახესა მსხვილმა.

— გამოაჩინე, მამ, შენი ძალაო!

— კეთილი! მხოლოდ თქვენ გაიწიეთ ჩემგან შორს...—
და მსხვილმა დაიწყო გაბერვა. მოკლე ხანში ისე გაიბერა, ისე
გაგანიერდა უოველი მხრით, რომ უძველესელ დიდ მთას
დაემსგავსა. შემდეგ კი ამოიხუნთქა; ხოლო ისეთი ძლიერი იყო
მისი ამოხუნთქვა, რომ ტყე შეინძრა, სეები ერთმანეთს მიე-
სეთქნენ, თითქო ქარიშხალს დაებეროს.

—კარგი!..—მოუწონა ბატონიშვილმა.—მეხსენიო. იმედი მაქვს, რომ გამოძადებით!

სამივე გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, გზაზე შემოსვდათ ვიღაცა კაცი, რომელსაც თვალები ასვეული ჰქონდა.

—ბატონიშვილო, ეს ჩვენი მესამე მეგობარია—თვალჯადოიანი,—უთხრა მალაღმა ბატონიშვილს.—წამოიფანე ისიც: გამოკადგება!

—ამას კიდევ რა შეუძლია?.. თვალები—ასვეულია!

—საქმეც ისაა, რომ ასვეული აქვს; ასვეული აქვს, მაგრამ ჩვენსე უკეთ ჰხედავს. სახვევი რო მოისწას და ისე შესედოს რასმეს, უთუოდ ცეცხლი მოეკიდება, რასაც შესედავს. ხოლო თუ საგანი ისეთი იქნა, რომ ცეცხლი არ მოეკიდება, მისი თვალისაგან დაიმსხვრევა უთუოდ! ტუეილა კი არ ეძახიან ჩვენს მეგობარ თვალჯადოიანს.

ამ დროს თვალჯადოიანმა მოისწა თვალებიდან სახვევი და შორ მთაზე აზიდულ კლდეს შესედა. მაშინვე შუა გაიპო კლდე, შემდეგ დაიმსხვრა და მტვრად იქცა. მტვრსე კი ოქრომ გაიბრტყვილა. ამის დანახვასე მალალი ერთი სწრაფად შეჰქანდა ჭაერში, გეგონებოდა თავი ცას მიარტავო, ორი თუ სამი ნაბიჯი გადასდგა და ოქროს მისწვდა. ბატონიშვილს შიართვა. ბატონიშვილს დიდად მოეწონა ეს ახალი კაციც. შეაქო ხელმეორედ უველანი და გაიყოლია თან.

—წამოდიო!.. გზას გაუდგეთ!..—უთხრა. მერე თვალჯადოიანს ჰკითხა:

—რაკი შენ ასეთი თვალები გქონია, მოკლე გზაც გაცოდინება მზაკვარ-დევის ცისემდის!.. მითხარი, დიდ ხანს დაგეპირდება კიდევ სიარული?



—მარტო რომ იყო, ბატონიშვილო, ერთ წელიწადსაც ვერ მისვალ! მაგრამ რადგანაც ჩვენთან ხარ, არაფერი გაკვირდება! მზის ჩასვლამდის იქ ვიქნებითო!—მიუგო.

—იქნება ისიც იცი, თუ სად არის ახლა ჩემი სატრფო მეფის ქალი!—ხელმეორედ ჰკითხა მას ბატონიშვილმა.

—მღალღ კოშკში! რკინის კლიტულშია დატევევებული!.. იტანჯება საცოდავი!

—რად მინდა თავი ცოცხალი, თუ ის ვერ გავანთავი-სუფლე ტევეობიდან!—ამოოხვრით სთქვა ბატონიშვილმა. მღალღმა, მსხვილმა და თვალ-ჯადოიანმა გაამხნევეს იგი და ერთგულება შეჰფიცეს.

გაუდგნენ გზას.

რა დაბრკოლება უნდა ეოფილიყო, რომ მგზავრებს ვერ დაეძლიათ. ტეე, მთა, ტბა, მდინარე—ეველა ისე გადალახეს, თითქო სწორ და გატკეპნილ გზაზე მდგარიყვნენ. მზის ჩასვლამდის მართლაც მიადგნენ მზაკვარ-ღვეის ციხის კარებს. მათ მიახლოვებაზე, ციხის კედლიდან მღალღი ასასვლელი კიბე ჩამოეშვა და შესავალი რკინის კარები ფართოდ გაიღო. მგზავრები დაუოყნებლივ შევიდნენ შიგ. როგორც კი მოექცნენ ციხის ფარგალში, მამინვე კიბე ისევ აიწია და რკინის კარები მაგრად დაიხურა. მაგრამ ამისი არაფის შეძინებია. თამამად გაემართნენ მგზავრები ციხის შუა ამართულ კოშკისკენ. გზაზე კი შეამჩნიეს, რომ ეზო სულ სავსე იყო უძრავი, გაქვავებული ხალხით, მაგრამ ამას ეურადღება არ მიაქციეს. კოშკში შევიდნენ. აქ კი ღერეფანში დაინახეს ჩამწკრივებულად მდგარი გაქვავებული, ძვირფას ტანსაცმელში გამო-

წუობილი ბატონიშვილები, თავადები და მათი მსლებლები, აუარეს მათ გვერდი. შევიდნენ ერთ დიდ დარბაზში, რომელიც განათებული დახვდათ და მორთულ-მოწუობილი. დარბაზის შუა ადგილას მდიდრული სუფრა იყო გაშლილი ოთხი კაცისთვის. გაუკვირდა ბატონიშვილს ეს სანახაობა; მაგრამ მსხვილმა იხუმრა:

— ჩვენ მოკვლოდა მასწინძელი, თუ თვითონ არიან ოთხნი,—ეს სულ ერთია! დაეხსდეთ და სასმელ-საჭმელს შეკვქცეთო! ცხადია, მიხატეულები ვყოფილვართო.

ვევლას მოეწონა მსხვილის წინადადება. მოესხდნენ სუფრას.

როგორც კი მორჩნენ საჭმელს, გაიღო დარბაზის კარი და შემოვიდა შავად ჩაცმული მხაკვარი—დევი, რომელსაც წელზე საში რკინის სარტყელი ჰქონდა შემორტყმული მას მოჭევადა მეფის ქალი, თეთრად ჩაცმული,—ისეთი ღამაზი, რომ ზღაპარშიც ვერ ითქმის. მეფის ქალს თავზე მარგალიტის გვირგვინი ედგა.

— ვიცი, რისთვის მოსულხარ!—მიძართა მხაკვარმა—დევმა ბატონიშვილს. გინდა მეფის ქალი წამართვა!.. ეცადე, დაუნახოთ, თუ მიაღწევ მიზანს! თუ შეიძლებ საში ღამის განმავლობაში ისე უფარულო მეფის ასულს, რომ ვერსად წავიდეს, ვერსად გაგეპაროს, შენი იეოს!.. მაგრამ თუ ვერ უფარულე და წავიდა, მაშინ შენცა და შენს მხებლებს ისე გავაქვავებ, როგორც სხვები შენზე ადრე მოსულები გამოქვავებიაო!

სთქვა ეს მხაკვარმა დევმა, დასვა ქალი სკამზე და თვითონ გავიდა ოთახიდან.

ბატონიშვილმა და მისმა თანამგზავრებმა გადასწევიტეს მოელი ღამე ფსიხლად ეოფილიეუნ და ევარულნათ მეფის ასულისთვის. მაღალმა გაიკრძელა ტანი და ღობედ შემოკურა დარბაზს კედლის გაყოლებასე. მსხვილი ისე გაიბერა, რომ ტანით დაჭფარა ეველა კარები, სოლო თვალ-ჯადოიანმა გაიმსვილა მხედველობა, რომ მანც არავინ შემოპარულიყო და მეფის ქალი როგორმე არ წაეეყანა.

ამის მიუხედავად, არ კასულა ერთი წაშიც, რომ ეველას ძილი მოერიო, და თავდარიკი გაუქარწულდათ.

კანთიადისას ბატონიშვილს გამოეღვიძა. გაიხედა—მეფის ასული აღარ არის. სარდაცემული წამოვარდა. გააღვიძა მსლე-ბლები. მეტად აღშფოთებული იყო.

—ნუ შემინდები, ბატონიშვილო!—ძიძართა მას თვალ-ჯადოიანმა და ფანჯარას მიაშურა.—აი, ვხედავ შენს სატროფოს!.. აქედან შორს არის!.. ასი ვერსის სიშორეზე ერთი ტევა; ტევი ერთი მუხა სდგას. მუხის წვერზე კი რკო აბია. ის რკო სწორედ შენი სატროფო მეფის ასულია!..—მერე მადლას მიუბრუნდა:—მაღალო, წამიევიანე იქ და, სანამ მზე ამოვიდოდეს, მეფის ქალი ბატონიშვილს მოუეყანო!

მაღალმა შეისვა მხარზე თვალ-ჯადოიანი და კასწია. თვალის დასამსამებასე უკვე ტევი იყო მაღალი. თვალ-ჯადოიანმა უხვენა, რომელი რკოც უნდა მოეწევიტა და იმავე წამს უკან დაბრუნდა რკოიანად, რომელიც ბატონიშვილს გადასცა.

ბატონიშვილმა რკო იატაკზე დააგდო. მეისვე მეფის ქალად გადაიქცა რკო...

როცა მზე ამოვიდა, მსაკვარი დევი ეწვია დარბაზში ბატონიშვილს. დაინახა თუ არა მეფის ქალი სასლში, კაოცდა. იევირა. იმავე დროს ერთი რკინის სარტეელი გაუწედა მუხა

ზე და პირს—დაუვარდა. უსიტყვოდ მივიდა ქალთან გაჯავრებული, მოჭკიდა ხელი და ოთახიდან გაიქცა.

მთელი დღის განმავლობაში იტანჯებოდა ბატონიშვილი, არ იცოდა, რა მოელოდა. ვაი თუ ამაღამ დავიღუპო და მეფის ქალი დაგვარგო.

ეზოში გამოვიდა განსაყიწებლად. კარზე დაბთვლიერა იქაურობა. ცინის კარშემო ეველაფერი გაქვავებულიყო, არა თუ მსოლოდ ადამიანები,—ზირუტეებიც კი. ხეები უფოთლოდ იდგნენ. მიწა უძღელო იყო, და ვეავილი არსად სჩანდა. მდინარეც კი დამდგარიყო.

ამის დანახვაზე შეფიქრიანდა ბატონიშვილი. მაგრამ რას იზამდა,—უკან დახევას როგორ იკადრებდა?

სადამოს მხაკვარი-ღვევი კვლავ შემოვიდა დარბაზში მეფის ქალის თანხლებით. დასვა იგი სკამზე, დატოვა ბატონიშვილთან, ხოლო თვითონ კი წავიდა.

ისევ დაიჭირეს თავდარიგი ბატონიშვილმა და მისმა მხლებლებმა, მაგრამ კვლავ დაემიანათ...

გათყებისას მეფის ქალი ახლაც აღარ იყო დარბაზში.

— ვხედავ!... ვხედავ!... ნუ კენადვლებს!—ამბობდა ფანჯარასთან მდგარი თვალ-ჯადოიანი.—უფრო შორს არ წაუყვანია იმ წუეულს!! ორასი ვერსის სიშორეზე აქედან ერთი დიდი მთაა. მთაზე ერთი კლდე სდგას; კლდეზე კი ძვირფასი ქვა დევს. ის ქვა კი მეფის ასულია!.. მძალო, წამიყვანე, ბატონიშვილს მოგვაროთ მისი სატროფა!

მძალობა კვლავ შეისვა მხარზე თვალ-ჯადოიანი და განსწია მთისკენ. როცა დაუახლოვდნენ, თვალ-ჯადოიანმა მიახერო თავისი თვლები კლდეს, ჯერ გაანათ, მერე დაამსხუ-

რია. შეირფასი ქვა მონახა და დაუყოვნებლივ ბატონიშვილს მიართვა.

ბატონიშვილმა ქვა იატაკზე დააგდო, და იგიც შეფის ქალად გადაიქცა.

მზე ამოვიდა თუ არა, მზაკვარი დევი შემოვიდა დარბაზში. შეფის ქალის დანახვაზე ელდა ეცა. წაბარბაცდა. იუვირა განრისხებულმა.... იმავე დროს მეორე სარტყელი შემოაწუდა წელზე და ძირს დაუვარდა. მივიდა ქალთან, მოჭვიდა ხელი და დარბეზიდან გაიყვანა.

— უკანასკნელი ღამე გადასწუვეტს შენს ბედს!—ეს და სთქვა გასვლისას.

საღამოს კვლავ შემოიყვანა დარბაზში შეფის ქალი მზაკვარმა-დევმა და ბატონიშვილთან დატოვა. თვითონ კი წავიდა.

ამ ღამესაც დაეძინათ ბატონიშვილს და მის მსლებლებს. დილას შეფის ქალი ოთახში აღარ იყო.

— ბატონიშვილო, შორს არის შენი სატროფო! აქედან საძმასი ვერსის მანძილზე ზღვა არის. ზღვის ფსკერზე სადაფია მიკრული. სადაფში კი საძაჯურია. და ის საძაჯური შენი სატროფოა!—ძალალო, ახლა ჩვენთან მსხვილიც უნდა წამოვიდეს! შეგიძლია ისიც შეისვა მხარზე?..

ძალალი დასთანხმდა. შეისვა ორივე მეკობარი მხარზე და ზღვისკენ გააქანა. ზღვასთან რო მივიდნენ, ძალალი შევიდა წუალში, მაგრამ ზღვა იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ ძალალი მის ფსკერს ვერ მისწვდა.

— დაძაცა!.. ახლა ჩემი რიცია!—დაიძახა მსხვილმა. დაწვა ნაპირზე და შეუდგა ზღვის წელის სძას. იმდენი სვა და ულანა, რომ ზღვის ზედაპირი ჩაიწია. მაშინ ჩავიდა ძალალი და სადაფი ამოიტანა.

მსხვილი ისე გაბერილი და დამძიმებულიყო, რომ მისი ზიღვა შეუძლებელი იყო. იგი დიდ მთას დაძვავსებოდა. მაღალმა დატოვა იგი, სოლო თვალ-ჯადოიანი შეისვა მხარზე და მოჭკურცსლა ბატონიშვილისკენ.

ბატონიშვილს კი დიდად უჭირდა. მისმა მსლებლებმა დაიკვირეს. სადაც იყო, მსე ამოვიდოდა და მსაკვარი--დევიც დარბაზში გაჩნდებოდა. ბატონიშვილი ღელავდა. გრძობდა, რომ იღუპებოდა; მაგრამ რას გახდებოდა? აი, მსეც ამოვიდა და მსაკვარი დევიც გაჩნდა ოთახში. რო ვერ ნახა მეფის ქალი ბატონიშვილთან, სიხარულმა აიტანა. გადისარსარა... მაგრამ... უცებ ფანჯარის მინა გატედა და სამაჯური შემოვარდა ოთახში. დაეცა იატაკზე თუ არა, მეფის ქალად იქცა.—თურმე თვალ-ჯადოიანს დაუნახავს შორიდან ბატონიშვილის განსაჭირი და, რომ არ დაეოვნებია, სამაჯური ისე მოხდენილად გამოუსროლია, რომ ფანჯრით დარბაზში შემოუკვია.

მეფის ქალის დანახვასე მსაკვარმა--დევმა ძლივს მოასწრო დაღრიალება. უკანასკნელი მესამე სარტყელიც შემოაწედა წელზე, თავად კი ეორნად გადაიქცა. ფანჯარაში გაფრინდა,—თავს უშველა.

ახლა კი ამოიღო ხმა განარებულმა მეფის ქალმა. მაღლობა უთხრა ბატონიშვილს. სახეზე ფერი მოუვიდა. ვარდს დაემსგავსა. მასთან ერთად ცინის მკვდარი გარემო გაცხოველდა, აუვადა. გაცოცხლდნენ გაქვავებული ადამიანებიც. მივიდნენ ბატონიშვილთან და დიდის პატივით სალაში მისიკეს. მოულოცეს გამარჯვება და მაღლობა გადაუხადეს.

—მე კი არა, ამათ ერგებთ მაღლობა! ესენი რომ არ ეოფილიეუნენ, მე რას გავხდებოდი?—მიუთითა მან მაღალზე და თვალ-ჯადოიანზე.

ამის შემდეგ ბატონიშვილმა წამოიყვანა თავის სასახლეში მეფის ქალი და ვეფხე იქ მყოფნი მიიპატიჟა თავის სახლში. კახე შესვდათ მსხვილი, რომელსაც ზღვის დაღეული წყალი გადმოექცია და აჩქარებით მიდიოდა მეგობრების მისამყელებლად მხაკვაროდუვის ცისისკენ, ვინცობა ისინი გასაწირში ენახა. ისიც სასახლეში მიიწვია ბატონიშვილმა.

სასახლეში დიდი ქორწილი გაიმართა. ბატონიშვილმა ჯვარი დაიწერა მეფის ქალზე. სამი კვირის განმავლობაში განუწყვეტელი ქეიფი და მოღსენა იყო.

ქორწილის შემდეგ მაღალმა, მსხვილმა და თვალუჯადოიანმა მოინდოქს წასვლა. ბატონიშვილს არ უნდოდა მათი გაშვება, მაგრამ მეგობრებმა არ მოიცადეს, იმის მიუსყდავად, რომ მასწინებელი დიდ ბედნიერებას ჰპირდებოდა მათ. არჩიეს თავისუფალი ცხოვრება და სეტიალი ქვეყნად...

ღეო ქაჩელი





შ ა ვ ი კ ა ც ი



ახურულ ტყეში განძარტოებული ჰატარა ქონი სდგას. უოველ დილაზე, მზის ამოსვლისას, დაბალი კარი იღება და კაცი გამოდის. შავი ტანისამოსი აცვია, თავზე შავი ქუდი ახურავს, სურგზე დიდი ტომარა ჰკიდია. რა საჭიროა ეს ტომარა: რას ალაგებს მასში ეს კაცი, ან რას აკეთებს აქ იგი სასოვადოდ?

ეს კაცი აგროვებს ნაფორებსა და ნახერსს, რომელნიც ხეების მოჭრის შემდეგ დარჩენილან, ქერქის ნატყებს და ხიდან ჩამოცვენელ ფხოს. ბევრს არას თხოულობს, კმაყოფილია იმ ნამცვევებითა და სის ნარჩენებით, რომელიც შემის მჭრელთათვის სრულებით უკარგისია.

უოველივე ამას ტომარაში ინახავს და შინ მიაქვს. ქონის ახლო მას ქვებისაგან ძალად-ძილიანი ქურა გაუკეთებია. ძილს ზემოდ ეს კაცი გრძელსა და ფართო ტომარას აფარებს. უოველივეს, რაც ტყეში მოუგროვებია, ფესვებს, ფხოს, ნაფორებს და სხვ.—ქურაში აწუობს და ცეცხლს უკიდებს. ჰაერი ქურაში ცოტა შედის, ამიტომაც ეს ნაგავი მკვირცხლად, წითელ ალის ფრად კი არ იწვის, არამედ ნელ-ნელა ბეჭტავს და ბევრ სქელ ბოლს იძლევა. ბოლი ძილით ტომარაში შედის და შავი ჭკარტლი მის კუერდებზე ბანჯკვლიან ფთილებად იკრიბება.

სანამ ქურაში ცეცხლი ანთია, კაცი თხელი ფიცრებისაგან ჰატარა კანრებს აკეთებს და სის სალტეებს კარმეო აკ-

რავს. შემდეგ მილს ტომარას სხნის, ჭვარტლს კასრემის ბერტუავს. როცა გაივსება კასრი ფიცრებით თავს გადააკრავს. რასაკვირველია მუშობის დროს კაცი ბუსრის მშენებელივით შავდება.

როდესაც ასეთი ჭვარტლით რამოდენიმე კასრს აავსებს, ურემზე დააწუობს და ქალაქში წაიღებს. აქ ჭვარტლის უიდულობენ ისინი, ვისაც შავი საღებავი სჭირდება.

მეშალერე შავი საღებავით შხალერებზე ნახატებს ბეჭდავს. მღებავი ურევს მას გუმბი არაბიკის წებოს, აკეთებს სქელ ცომს, სჭრის, აწუობს ეალიბებში და ამნაირად ამზადებს შავ საღებავს, რომელსაც გასასეიდად უთებში ალაგებენ. ამ საღებავით ბავშვები ნახატებზე ჯარისკაცებს წვერსა და უღვაშებს უღებავენ. კალატოზები შავ საღებავს კედლების შესადებად სძარობენ, ხოლო მესტამბენი აკეთებენ სასტამბო საღებავს და ჭბეჭდავენ წიგნებსა და სურათებს. მეწადესაც კი სჭირდება ეს ჭვარტლი ვაქსის გასაკეთებლად.

დ. ყაფანი.





შ ა რ ა ლ ა

(წარმოდგენილი დიპ. ჯურთაშვილის მიერ)

ორჯერბ სთქვით ერთმანეთსე
სიტყვა დროს მანვენებელი.
მთელი არის თვალებისა
დარბჯი დაშვენებელი.



რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი ნ. დარაშვილის მიერ)



20

მე-1 წ-ში მოთავსებულ შარადების, გამოცანის და რებუსის ახსნა:

- 1) შაქარი, 2) კალოში, 3) კვერცხი, 4) ვინც ამ რებუსს
გამოიყნობს, იძას ერთი შაქრის თავი.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი მ. პ. ი. თუმანიშვილი.



მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის.



დასურათებ ული საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი „ნაკადული“ წელიწადი მეცამეტე.

ქურნალი „ნაკადული“ გამოცემა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ქურნალი გამოცემის თვეები ოცჯამ

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფსი ქურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5 მან.**—იმათთვის, ვინც ქურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნილი კი **6 მან.** ნახევარ წლით—**3 მან.** გაგზავნილი—**3 მან.** 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მან.** გაგზავნილი—**3 მან.** 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.** გაგზავნილი—**3 მან.** 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილიადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ქურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40 კ.** შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ტინიო ლომოურთან. **კიათურაში**—ივ. გაონელაურთან. **ხონში**—მ. ი. კავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ოზურგეთში**—სალომე ბუნდაძესთან, ლანჩხუთში მასწავლებელ ჯუდელთან.

რედაქტორი ნანა ნაკაშიძე

გამომცემელი ბ. პეტრე იოსებაძე თყმანიშვილი.

